შეთანხმების ფურცელი

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელ ,,შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2'' (სპეციალური ოპერაციები)-ის სასესხო ხელშეკრულების პროექტზე

უწყება	შენიშვნა	
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2'' (სპეციალური ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულების პროექტი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ზემოაღნიშნულ სასესხო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ აქვს. ამასთან, გაცნობებთ რომ წარმოდგენილი სასესხო ხელშეკრულების პროექტი საჭიროებს რატიფიკაციას „საქართველოს კონსტიტუციის“ 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.	გათვალისწინებული იქნება
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა ,,შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2'' (სპეციალური ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულების პროექტი. საქართველოს ეკონიმიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზემოაღნიშნულ სასესხო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.	
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე - პროგრამა 2“ (სპეციალური ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულების პროექტი და მის მამართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები: სასესხო ხელშეკრულების პროექტის მე-5 მუხლის 5.03 ნაწილი განსაზღვრავს წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების ეფექტურობას. გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეფუნქტის შესაბამისად, აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას. სასესხო ხელშეკრულების პროექტის ქართულენოვანი ტექსტი საჭიროებს მთარგმნელობითი, გრამატიკული, ენობრივი და სტილისტური ხასიათის შესწორებებს: კერძოდ: -მართებულია, ხელშეკრულების პროექტის 5.01 მუხლში ფრაზა: „other than a condition requiring the effectiveness of this Loan Agreement", ქართულად ჩამოყალიბდეს, შემდეგნაირად: „იმ პირობებთან ერთად, რომელიც ითხოვს წინამდებარე სასესხო ხელშეკურლების ეფექტურობას“.	გათვალისწინებული იქნება გათვალისწინებულია

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისთვის - ქვე - პროგრამა 2“ (სპეციალური ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულების პროექტი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზემოაღნიშნულ სასესხო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.	
საქართველოს ეროვნული ბანკი	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა ,,შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2'' (სპეციალური ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულბის პროექტი. საქართველოს ეროვნულ ბანკს, ზემოაღნიშნულ სასესხო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.	